ISSN 0132—0015

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგი

1
1982

მეგობრული შარჟი გ. ფირცხალავასი

ნიანგის ფოსტა



მე მონამან ხვთისამ არსუკიძემ აღვაშენე ესე წმინდაი ეკლესია სვეტიცხოველი, ოდეს იყო საუკუნე თერთმეტი. ესე ჟამი ჭეშმარიტ არს, რამეთუ ფრიად ვიცნობდი სამყაროს — ასე დაყოფილს თორმეტ თანავარსკვლავედად და რომელსა ერქვა სახელად ზოდიაქო და რომელ დავაჩინე კედელსა სამხრეთისა სვეტიცხოვლისასა, მაგრამ ჟამი ასე ცვალებად არს, რამეთუ **საწარმოო გაერთიანება „სიხარულის“ მეოთხე მექანიკურმა ქარხანამ** მანქანისა (არა — ეშმაკისა) გასაღებსა „ბრელოკსა“ ზედა დააჩნია სახება ტაძრისა და გვერდით კი, **თერთმეტის მაგიერ,** მიუწერა **საუკუნე თორმეტი!**

საუკუნე ერთი მცირე არს უკვდავთათვის, რამეთუ მე არა ვარ დიაც და არც წეს არს ჟამისა შემცირებისა ჩემისა და მიტომაც ვეტყოდი იმა ქარხნისა უფროსთა მხოლოდ: კვლავაც არაფერი შეგეშალოთ, ძმანო ჩემნო!

არსუკიძე

რედაქციისაგან: დიდი ქართველი ხუროთმოძღვრის უსტარს — საწარმოო გაერთიანება „სიხარულის“ მესვეურთა მიმართ მიწერილს—ნიანგი ამას დაუმატებდა — მართალია, „ბრელოკი“ მექანიკური ქარხნის გამოშვებულია, მაგრამ მასზე ამოტვიფრული წარწერა „XII“ სულაც არ არის მექანიკური შეცდომა! მეტი ცოდნა და დაფიქრებაა საჭირო, როცა საქმე ერის კულტურის ისტორიას ეხება! ისე კი, ნიანგი გულწრფელად მოგილოცავთ 19.., ბოდიში, 2082 წელს!

სსრ კავშირის სახალხო არტისტის ნ. პ. აკიმოვის გამოგონათქვამებიდან

იუმორი ადამიანურობის უპირველესი ნიშანია! არც ერთ ცნობილ დიდ არამზადას იუმორის გრძნობა არ ჰქონია! ოღონდ აქედან არ შეიძლება მყისვე გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ყველა, ვინც მოკლებულია იუმორის გრძნობას — არამზადაა! — მან ჯერ უნდა დაამტკიცოს ეს!

ევგენი საზონოვის დიალოგებიდან

— რატომ ცხოვრობდა დიოგენი ღვინის კასრში? — ჰკითხა ევგენი საზონოვს თავისმა მოსწავლე შვილმა.

— იმიტომ, რომ ღვინოშია ჭეშმარიტება! — აუხსნა ყოვლისმცოდნე მამამ.

„ლიტერატურნაია გაზეტა“

გაზეთ „ნიანგს“

ამას წინათ „ნიანგის“ რედაქციამ პასუხი მიიღო თბილისის სახალხო დეპუტატების კიროვის სახელობის რაიონული საბჭოს აღმასკომიდან. და ჰოი, საოცრებავ! როცა კონვერტზე თავის მისამართს დახედა, მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ, თურმე, სამოცი წელიწადია ამაოდ იწოდება უურნალად — გ ა ზ ე თ ი უოფილა!

ვინ, ვინ და, სწორედ „ნიანგმა“ უნდა შეაფასოს იუმორი, მაგრამ არ გაუცინია — ისეთი ხოლიდური დაწესებულების თანამშრომლები, როგორიც რაიონული საბჭოს აღმასკომია, ცოტა მეტი სერიოზულობით უნდა ეკიდებოდნენ ოფიციალური დოკუმენტების წარმოებას.

კონკურსი გრძელდება

ჟურნალ „ნ ი ა ნ გ ი ს“ რედაქციასთან არსებული სიტყვიერი ინფორმაციების სამეცნიერო ჩხრეკის ცენტრი აცხადებს, რომ გრძელდება კონკურსი შემდეგ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად:

1) ელვა-დეპეშების ელვისებურად მჩხრეკავ-გამშიფრავ-განმმარტავი და გრამატიკულად გამმართავი — ერთი საშტატო ერთეული — სამარჩიელო ცრუმეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი;

2) ჩვეულებრივი დეპეშების შინაარსის ჩამარცვლით ამომკითხავ-ამომცნობ-გადმომქართულებელი — ერთი საშტატო ერთეული — ექსტრასენსი ან პრივატ-სენსი.

მორიგი ტურის გამოცდად კონკურსის მონაწილეებს ვთავაზობთ ორი დეპეშა-გამოცანის ამოხსნას.

პირველი დეპეშა მოსკოვიდან მიღებული ელვაა, მეორე — ჩვეულებრივი.

დეპეშა პირველი

Срочно сообщите номера контейнеров дйту отгрузки орсам 20 тонн сабзы зпт также лук маринованный нашим разнарядкам НР 280 директор ТЗБ Чахвашвили

დეპეშა მეორე

Руеааи лястпя 5 71 7750-паесу и аситбилиси ублианис к экспе иментатури саоецниерт квлеаити институтис ди екто с русавие калакис саавадмктпо гтовмтатавсо лепатлтгиур ланкопи езаши ланмеорезии окурналтзисатвисавадмктпи.

Олениктвагтспиализациссакити Вгеанхмебу иа е епонитсаоку а ТП тфилакикур еаммараелтстан амханагазидееетан гт твт сасцраиод гвацнтботпасуи диагози так аи диабеи меимефтрмадиазеу итеиаттзисеиатол енаули синд оми гвизлис ка диалу и цироеиактиу и фукциона урае еектмпенси ебули асцити мтекимигогаеее

დამატებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მოგვმართოთ მისამართით: „ნიანგის“ სიტყვიერი ინფორმაციების სამეცნიერო ჩხრეკის ცენტრი.

ნახ. გ. ფირცხალავასი

— თაფლი კია შაქარივით, ფასი რომ არ ამწარებდეს!..

რითმის ხათრით ნათქვამი სიმართლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლი ააგო ნაქურდალითა,
ქვეყანას ხურავს ნაქურჩალითა!

●

ანონიმობა ისე გახშირდა,
ქათქათა თეთრი გაგვინახშირდა!

●

ენის ქავილით კვდება საბრალო! —
ესეც ექიმებს არ დააბრალონ!

●

ბაზრობის დღეს, პარასკევს,
ბოშა ქალებს ჰპარავს კევს!

ოთარ შანიძე
(ქ. სამტრედია)

ერთი უცნაური ზნე სჭირს სირაქლემას: საშიშროების შემთხვევაში მხოლოდ თავს მალავს (ალბათ, თვალებსაც ხუჭავს) და ჰგონია, ვეღარავინ მხედავსო! ახლა ვიკითხოთ, რა ემართება უთავო სხეულს?..

ანატოლის გოდოლი

1981 წლის სექტემბერში ცხინვალის რაიონის სოფელ კეხვის სასაფლაოზე ადგილობრივი მკვიდრნი ხშირად ხედავდნენ იქ მოსეირნე **ანატოლი ნებიერაძეს!..** ზოგს განდეგილი პოეტი ეგონა და ერიდებოდა, ლექსების წერაში ხელი არ შევუშალოო!..

არა, ანატოლი სულაც არ იყო სულით ობოლი პოეტი და არც ლექსების წერას აპირებდა. ადგა და, ერთ ავად სახსენებელ დღეს, სასაფლაოს გვერდით, მიწის ხრა დაიწყო!.. გაჰკვირდნენ კეხველები და ახლოს მივიდნენ. ნუ გეშინიათო! — დაამშვიდა ისინი ანატოლიმ,— ეს ადგილი სატყეო მეურნეობას ეკუთვნის, მე კი მისი მძღოლი ვარ, მინდა, საღორე ავაშენო საზოგადოებრივ საწყისებზე, ღორები რკოთი და პანტით გავასუქო, ხორცი კი სახელმწიფოს ჩავაბაროო!

გაჰკვირდნენ ამის მსმენელნი, — ეს რა ღვთისნიერი ადამიანი მოგვევლინაო, მაგრამ საქმეს სხვანაირი სუნი რომ უდიოდა, ესეც იგრძნეს, ეს სუნი უწინ ნებიერაძის მომავლმა მეზობლებმა იკრეს, შენ რას ამბობო?! — შეუძახეს, — ღორების სუნში აქ როგორღა გვედგომებაო?! მაშინ ყველაზე გულმოსული მეზობელი განზე გაიყვანა ანატოლიმ და ხმა დაიდაბლა: რომელი ღორი, რის კამეჩი?! კაცი „დაჩას“ ვაშენებო! აგაშენა ღმერთმაო! — დალოცეს მეზობლებმა და გაეცალნენ.

ანატოლიმ კი მექანიზაციის გუგუნში და ხელოსან-მუშების შეძახილში უკვე აიყვანა ქვედა სართული, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელები წამოადგნენ თავს, — შენ აქ რა წამოგიწყიაო?! — დაუცაცხანეს. ანატოლიმ პასუხში არავის დაუდო ტოლი: მე, უფროსებო, ნებაყოფლობით ჩავერთე დიდ სასურსათო პროგრამაში, ამ შენობაში ათი ათგოჭიანი ქუბის შენახვა-გამრავლებას და ხორცის სახელმწიფოსთვის მიყიდვას ვაპირებო!

მის სიტყვებს მხურვალე ტაშით შეხვდნენ ამ სახელდახელო მიტინგის დამსწრენი.

მიტინგი მშვიდობიანად დამთავრდა, მაგრამ ახლა მეზობლებმა მიიტანეს იერიში გოჭების

ახალაგებულ გოდოლზე: შენ აქ საღორე გიშენებია, ჩვენ კი გვაცუცურაკებო! არაო, — იფიცა ანატოლიმ, მაგრამ აღარ დაუჯერეს, მალემსრბოლი აფრინეს ცხინვალისაკენ, — უცხო კაცი შეიჭრა სახელმწიფო მიწაშიო!

1981 წლის 10 სექტემბერს ხელისუფლების წარმომადგენლებმა აქტი შეუყენეს ანატოლის — გოდოლი მაინც იდგა!

12 სექტემბერს ფელეტონი გაუშანშალეს საოლქო გაზეთში — გოდოლი მაინც იდგა!

20 ოქტომბერს ცხინვალის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველომ უპასუხა გაზეთს: **„ა. ნებიერაძის საკითხი უნდა განხილულიყო რაიაღმასკომის სხდომაზე, მაგრამ რადგანაც სატყეო მეურნეობის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი კ. დათაშვილი ავადმყოფობს... საკითხი გადატანილია განსახილველად დათაშვილის გამოჯანმრთელებამდე“.**

„გოჭების გოდოლი“ კი კვლავ დგას!

— დაინგრევა თუ არ დაინგრევა?! — კითხულობენ ერთნი.

— არ დაინგრევა იმიტომ, რომ... — აღარ ამთავრებენ მეორენი.

სირაქლემას მხოლოდ თავი აქვს დამალული, ტანი კი ყველას დასანახად დგას სოფელ კეხვის ტერიტორიაზე.

ყველას მაინცდამაინც თავი აინტერესებს და ამიტომაც, ჯერჯერობით, არ ერჩიან ტანს!

საკითხი ასე დგას: სად ვიპოვოთ თავი?!

მერაბის პერანგი

საკუთარ პერანგს გავყიდი და სახლს მაინც ავაშენებო! — თქვა მერაბმა და **ზნაურის რაიონის სოფელ ავნევის კოლმეურნეობის** კუთვნილ მიწის ნაკვეთს დაადგა თვალი: მანქანა-ტრაქტორების პარკს ამხელა ტერიტორია რად უნდა, თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმება, ეს მიწა კი ქადაზე გემრიელად მეჩვენებაო!

ფრთხილადო! — უთხრეს, — საზოგადოებრივი მიწის ფონდისთვის ორისა კი არა, ერთი ხელის ხლებაც არ შეიძლებაო! დაღონდა მერაბი, რაკი ვერ გაყიდა პერანგი.

მაშინ ეშმაკი ნაუმხარდამხარდა **მერაბ ილუშას ძე ჭიღლაძეს** და წასჩურჩულა: სოფელი გახლავს ავნევიო, აბა, რა კაცი ხარ, თუ მას ვერაფერი ავნევიო?! მოიღუშა ილუშას ძე, იფიქრა, იფიქრა და თავის მხრივ სოფლის თავკაცს წაუჩურჩულა, — მომე მიწაო, თუ გინდა, რომ შენი ძმობა ვიწამოო — კაცმა უთხრა: ჩემთან ხშირ-ხშირად მოდი, მართალია, არ მაქვს საკარმიდამო ფონდი, მაგრამ წინასწარ ნუ დამიღონდიო, გასჭერი ბალავარი და, დედამისის შვილია, ვინმემ გკადროს უარიო!

ჰოდა, გასჭრა მერაბმა და უარი ვერ უთხრა ვერავინ! აიყვანა პირველი სართული და ახლა მეორისკენაა მისი ფიქრი მიმართული!

საქმეში კი ჯერ არ ჩარეულა არც ვინმეს ინტელექტი და არც რამე პროექტი, არ ჩანს არც რაიმე გამაფრთხილებელი აქტი, სახეზეა მხოლოდ კერძომესაკუთრული აღტყინების (გულის არტკენინების) ფაქტი — დგას სახლი ამაყად და ამაღლებასაც აპირებს, მიწის განკერძოების ჟინი ზღვად ასდგება ნაპირებს!..

ავნევშიც მხოლოდ ტანი უჩანს სირაქლემას, თავი კი საიმედოდ დაუმალავს!..

სამარჩიელოა, სად ვიპოვოთ თავი?!

ძიება გრძელდება!

ჯრდაინდო არდაშენია

ახალი ამბავი ლიტერატურიდან

სოფელი თუ ქალაქი?

— გიიგე, კაცო?! ჩვენი უმცროსი ბიძი, თურმე, ქალაქში აპირებს დასახლებას!..
— რა უკმირს მერე, შე ქალაო?! მე შენ ეტყვი და; გამწესებინა აკლია ქალაქს თუ ხმაური, ან მტვერი ანუ ხმაურს?! მეტრო და სამაგირო გზები იქაც არის! ის კი არა, სულაც იმათი მოგონილია! ახლა ქალაქი არაფერი არ ჩამოუვარდება სოფელს!

მაანარიაში

— სულ იმპორტული ტანსაცმელი რომ გამოგიყიოთ, ისეთი არაფერი გაქვთ, სამუშაოზე რომ გამოადგეს კაცს, ჩვენებური, შინაური?!
— კი გვაქვს... სანდომში... შინაური ხალხისათვის!

ქუჩაში

— რას მისევია ამდენი ხალხი?!
— ქუჩის გაიხარა ფეხრებს!
— ეგ გაუკეთრდათ? ჩვენ ამალგაზრდობაში ყოველდღე თხრიდნენ ქუჩებს, მაგრამ არავის უკვირდა!

ბინაში

— დღეს რამდენჯერმე მოვიდ[illegible] სახლმმართველობიდან!..
— რა გვინდათ?!
— ტელეფონის აპარატი მოიტანეს!
— რატომ?! ერთი ხომ გვაქვს!
— ვიდეოტელეფონი უნდა დაგიდგათ, გეგმაში გვიზისო!
— თუ გეგმაში უზია, რას იზამ, დადგავ!
— მერე სხვები მოვიდნენ: გაიგეთ, თქვენს სააბაზანაში წყალი ნვეთავს და ონკანი უნდა გამოვცვალოთთ!..
— არ გადადმრეთ! მაროლა გამოვცვლითთ?! რას არ მოესწრება კაცი!

ამბანავაში სასაპარიტლოზე

— რაგომ იხდის ეს ყმაწვილი ამდენ ბოდიშს?
— უკადრისი სიტყვისათვის.
— ვინმე გალანძღა?
— რასა ბრძანებთ! ისე გაუფიქრებია თავისთვის გუნებაში, თორემ რომელი ახალგაზრდა იკადრებს ახლა ურიგო სიტყვის თქმას?!

მგზავლობაზე

— ამ სახლში ჯერ არავინ შესახლებულა და ამდენი სასნრაფო დახმარების მანქანა ვისთან მოვიდა?
— მეცხრამეტე სართულზე, სამზარეულოში, მიმდებმა კომისიამ კაფელი ნახა მორყეული და მშენებლები, თურმე, თავს იკალვდნენ, შეერცხვითო! ძლივს გადაარჩინეს!
— ოო! კი ჰკონიათ თავი მოსაკალავი!

თუ ასე გაგრძელდა!

— უმაღლესდამთავრებული კაცი საშუალო სკოლას დაუბრუნდით სასწავლებლად?
— ფრიადოსნის ატესტატი მინდა აკელო!
— არაფერი გამოგიევათ!.. ახლა საშუალო სკოლის პროგრამას უმაღლესი განათლებით ვერაკინ დაძლევს!

ყანაში

— ამ შუადამით აქ რას აკეთებ, კაცო?! საკუთარ სიმინდს იპარავ?!
— რა ქენა, მომენატრა ხელით მრომა!.. ვერა და ვერ შეეჩვივ ყველაფრის მექანიზაციას!

კანცელარიაში

— თქვენ გამომიძახეთ?
— დიახ! თქვენი განცხადება უფროსმა განიხილა და კომისიას გადასცა შესაბოწმებლად!
— ჩვენ განცხადებ?!
— ეს თქვენ არ მოიტანეთ?
— კი, ამ დილით მოვიტანე!
— ჰოდა, რა გგიკვირდათ?! ახლა დღის ბოლოა! ინებეთ პასუხი!

ფოსტალიონის გასაჭირი

— ალო!.. გაზეთის რომელიმე ნომერი ხომ არ დაგალებიათ დღეს?
— არა, ბატონო! რატომ კითხულობთ?
— ერთი ცალი გაზეთია დარჩენილი ფოსტაში და პატრონს ვეძებთ!

ბოქის ისტორია

— რას აკეთებს, ბაბუ, ეს რკინის ძარი ამ შუა ეზოში?
— ახლა არაფერს, ბაბუ! ადრე მე ძროხას ვიბამდი, მამაშენი კი — მანქანას!
— მანქანას რატომ, ბაბუ?!
— რატომ და... ყველა დასაბმელი არ იყო დაბმული და იმიტომ!

აპოლონ გასილაია

ნახ. გ. ფირცხალავა

— არ შეუშვა! თოვლის გაგუა არ გეგონოს, თავისი ლექსები აქვს ტომარაში!..

უხსოური იუმორი

— ძვირფასო! გასალები მომეცი, დღეს, შეიძლება, დამგვიანდეს: შეფის დაბადების დღეზე მივდივარ!
— რად ვარგა გასალები, გენაცვალე?! დილით თუ დაბრუნდები, კარი ღაღე ღია იქნება! უფრო ადრე თუ მოხვალ, სულ ერთია, გასალებს კლიტეში ვერ მოაზედრებ!..

●

— წარმოვიდგენიათ, ეკვმი, წუხელ შესხვმია, თითქოს ბარი ვიყავი და მთელი ღამე თიკის ვკაფდი!
— ნე ღელავთ, ბატონო, რა არ ესხვმება ხოლმე ადამიანს!..
— მაუდელია, მაგრამ მაშინ ეს ამიხსენით, რა იქნა ჩემი ლერნიეს?!.

●

ᲨᲘᲜᲘᲡ ᲮᲛᲝᲑᲐ ᲮᲐᲜᲓᲐᲠᲗᲝᲓ ᲐᲮᲚᲓᲐ ᲕᲐᲠᲬᲐᲚᲘ ᲐᲤᲠᲘᲙᲐᲨᲘ. ᲛᲝᲒᲝᲛᲬᲘᲜᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲐᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲐᲛᲝᲩᲐᲜᲐ ᲐᲚᲘᲡᲝ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲗᲔᲡᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲩᲐᲜᲐ ᲐᲚᲘᲡᲝ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲗᲔᲡᲘ

„თგილისელი“ შვილის

საახალწლო წერილი სოფლელი დედისადმი

გამარჯობა, ჯიგაროჯან!
მოგილოცავ ახალ წელს!
მე აქ როგორ ვიარსებო?! —
მამა წერილს აღარ მწერს!..
გეხვეწები, შენებურად
დაამშვიდე მამიკო!
ინსტიტუტში რომ ვერ მოვხვდი,
ჩემი ბრალი არ იყო!
ო, ეს წელი რა თარსია! —
გაგონილა ასეთი?! —
განცხადება ათასია,
მისაღები — არც ერთი!..
ბოღმითა ვარ დანისლული!
თურმე, საქმე რაშია:
კაცი! ცოდნა! ფული! ფული! —
შენს შვილს რა გააჩნია?!
გახსოვს?! — მაშინ არ გჯეროდა
დათასი და მართასი! —
სასაცილოდ არვის ეყო
თქვენი ათი ათასი!..
მესმის, ფული ტომრით დააქვთ
ჯანიკოს და შალიკოს!
მე ინსტიტუტს ვინ მაღირსებს,
ბებიას თქმის არ იყოს?!
რისი ცოდნა?! რა ქულები?!
რისი ოთხი?! რა ხუთი?!
ყველას პირზე აკერია —
„მაყუთი“ და „მაყუთი“!
გოგონებმაც შემაწერეს
ხან — ყავა და ხან — ტორტი!..
ახლა ამას მიუმატე
კონო, კინო, ტრანსპორტი!..
ისე კი ვარ, როგორც მხეცი!
აქ რა ფული გაგიძლებს?!
„არაგვს“, კარგი, გაექეცი!
სად წაუხვალ „ლაღიძეს“?!
ჯარასავით ვატრიალე
ხან — ყანწი და ხან — თასი!
აი, ასე დაიხარჯა
თქვენი ათი ათასი!..
დღეს დალოცვილ „ქალაქურში“
ქეიფობენ ბიჭები!..
მე შინ ვზივარ დარდიანი
და სირცხვილით ვიწვები!..
გული ფიქრმა დამინავსა
ამ დიდებულ ახალ წელს,
ჩემს თავს ვგლოვობ: არ
ვიპარსავ
აღარც ულვაშს, აღარც წვერს!..
წარამარა რომ მწერ, დედი, —
არ მოდიხარ აქეთო?! —
აქ პროსპექტზე დავსეირნობ,
მანდ რა უნდა ვაკეთო?!
ძმაბიჭები მპირდებიან:
„შენ გვეყოლე ჯანმრთელად
და მოგაწყობთ სტუდქალაქში
კარტოფილის გამთლელად!“
განა ისე? — ფეხზე ვდგები
და გილოცავ ახალ წელს!
უსაქმოდ რომ ვეხეტები,
მეზობლებთან არ დაგცდეს!..
მამა ნუკი გაჯავრდება,
კვლავ სიმართლეს თუ ვეტყვი:
ფული! ფული! — თუ სურს,
ჰყავდეს
შვილი კარგი სტუდენტი!

ეთერ სამხარაძე
(ქ. სოხუმი)



ამინდის ბიუროს ცნობა

1982 წლის პირველ დეკადაში მოსალოდნელია მექრთამეთა, გამომძალველთა, მომხვეჭელთა, გამფლანგველთა, სპეკულანტთა, კერძომესაკუთრეთა და სხვა ანტიპოდთა წნევის აწევა და მათი სწრაფად ანევაც!

მოიღრუბლებიან დამნაშავეთა მშობლებიცა და ნათესავებიც! ნამოვა ხშირი „საჩივრები“ მათ გასამართლებლად, რასაც მოღრუბლულობითვე უპასუხებენ შესაბამისი ორგანიზაციები!

ჩამოიქროლებს ქრთამით დატვირთული შუაკაცი. მას ძლიერი ჭექა-ქუხილი და მექრთამეთა მსხვილი ცრემლები მოჰყვება!

მეორე დეკადა უფრო მშვიდ ამინდს გვპირდება: სიმწრით გაიღიმებენ სპეკულანტები და კერძომესაკუთრეები: სახელმწიფოს ჩააბარებენ იმპორტულ საქონელს, უკანონოდ შეძენილ ქონებას და ხელს გაიცლიან! აღარ იქროლებენ ჩამორთმეული „ვოლგა“ — „უიგულები“! საგრძნობლად დაიკლებს ხალხმრავალ და წრეგადასულ ქორწილთა და ქელეხთა ნალექი! პატიოსანი მშრომელების ოჯახებში კვლავ დარი იქნება!

ჩაიწერა მურმან მერკვილიშვილმა

ნახ. გ. ფირცხალავასი



— რატომ არ მიფრინავენ ეს ჩიტები თბილ ქვეყნებში?
— ამაზე თბილ ადგილს სად იპოვიან?!.

ფრაზები

● **ძილი** სამსახურშიც შეიძლება, ოღონდ მაღვიძარა უნდა იქონიო, შინ წასვლის დრო რომ არ გამოგეპაროს!

● **თუ** ჯამაგირს ორას მანეთს იღებ და ხუთასს ხარჯავ, შეთავსებით ცირკშიც შეგიძლია იმუშაო ილუზიონისტად!

● **არც** ერთ მენიუში არ წერია, თორემ ადამიანი ზოგჯერ სირცხვილსაც ჭამს.

● **რა** უარყოფითი მხარეებიც უნდა ჰქონდეს ნოქარს, ერთი რამ მაინცა აქვს დადებითი — თითი.

● **ნუ** იტყვი ზოგიერთ ეტიმზე, ვერავის არჩენსო, ცოლ-შვილს ხომ არჩენს?!

● **წყლის** ქირა წყალს მიაქვს, როცა სახლში წყალი არ მოდის!

● **რესტორნის** კერძებში რომ თითები ჩაიკვნიტო, ჩანგალი არ უნდა იხმარო!

გ. შავერზაძე

ნიანგის ინფორმაციები

უკლუბო გამგე

(თიანეთის რ-ნი, სოფ. ზარიძეები)

დანგრევაზეა კლუბი და
შიგ შესვლა ვერას გარგებს!..
და მაინც: ამ კლუბს გამგე ჰყავს,
თუმც კლუბი არ აქვს გამგეს!

გაბერილი სახლი

(ტყიბული)

„შახტმშენმა“ რომ ააშენა სახლი,
აქტში ფართი მიანიშნა მეტი:
1730-ს ნაცვლად, —
1968 მეტრი!..

ასე უნდოდა!..

(სიღნაღის რ-ნი, სოფელი ტიბაანი)

მრავალჯერ უთხრეს: „ლუიზა,
კმარა, ავ საქმეს ნუ იზამ!“
მან წყევლა-კრულვით აავსო
დამრიგებლები ჭკუისა!
უსულგულომ და უნდომა,
კვლავ გააგრძელა ქურდობა!..
ჩასვეს! — **ლუიზა სომხიშვილს**
ნამდვილად ასე უნდოდა!

მოპარული აქტი

(მარნეული)

მამედოვი ელმანი
მთვრალი უჯდა საჭეს!..
ჩამოართვეს მოწმობა,
აქტიც შედგა ნალდი!..
უკან გაჰყვა ინსპექტორს,
დრო იხელთა მარჯვე
და მოჰპარა ჩანთიდან
მოწმობაც და აქტიც!..

„ტეტე“ — ვაზნებით

(დმანისი)

ორმოცი წყაროს ფერდობზე
„სამხრობდა“ ცხვარი და ხარი,
და, როგორც მწყემსი, ვიდოდა
აქ **ალიევი თახარი!..**
ვინ იცის, გულში რა ედო,
რაგვარი ჰქონდა აზრები?!
მას დროზე აღმოუჩინეს
ჯიბეში „ტეტე“ — ვაზნებით!..

გაიოზ შავერზაშვილი,
„ნიანგის“ კორესპონდენტი.

„მსოფლიო რომ იცინოდა, იმიტომაც გადარჩა!“ — ამ დევიზით ბულგარეთის ქალაქ გაბროვოში — სიცილის აღიარებულ კუთხეში — ტრადიციულად იმართება, როგორც იუმორის დღესასწაულები, ისე კარიკატურისა და სატირული სკულპტურის საერთაშორისო დათვალიერება — ბიენალე. ავტორიტეტული ჟიურის მიერ შერჩეული ყოველი ავტორის ორ-ორი ნამუშევარი ქვეყნდება სპეციალურ ალბომში.

შარშან მოეწყო მე-5 ბიენალე — **„გაბროვო-81“**, რომელზეც 50 ქვეყნის 1124 მხატვარმა წარადგინა თავისი ნამუშევრები.

ჟიურიმ ალბომში შესატანად შეარჩია წარდგენილ ნამუშევართა დაახლოებით ერთი მეოთხედი, და, რაოდენ სასიხარულოა, რომ მათ შორის „ნიანგის“ ახალგაზრდა ავტორის, თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულის, მხატვარი-კარიკატურისტის **რევაზ ჯაშის** ნამუშევრებიც არის!

ვბეჭდავთ რევაზ ჯაშის ორ ნახატს.

პასუხოვანია

ჩვენი ჟურნალის 1981 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი — **„დაპირებას საქმე უნდა ამშვენებდეს!“** წერილი ამხელდა **თემქის დასახლების მე-3 მიკრორაიონის მე-2 კვარტალის 28-ე კორპუსის IV სადარბაზოში სავენტილაციო არხის უვარგისობას.** ყურადღება იმაზეც იყო გამახვილებული, რომ მობინადრეები პასუხებს უხვად ღებულობენ სხვადასხვა ინსტანციებიდან, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა!..

რამდენიმე თვის შემდეგ, როგორც იქნა, მივიღეთ პასუხი, რომელიც ჟურნალის მე-12 ნომერში დაიბეჭდა. სახალხო დეპუტატების ლენინის რაისაბჭოს აღმასკომიდან გვწერდნენ:

„აღნიშნული ფაქტი სინამდვილეს შეეფერება. სახლის მშენებლობის დროს მშენებელთა დაუდევრობით IV სადარბაზოს სავენტილაციო არხები ამოვსებულია სამშენებლო ნარჩენებით და ბეტონის ხსნარით. მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, ამ არხების გაწმენდა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა. არხების აღდგენას, ან ახლის მოწყობის საკითხს ამჟამად სწავლობს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საპროექტო განყოფილება“.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის სამმართველოს საპროექტო კანტორამ (დირექტორი **გ. ჯაფარიძე**) შეისწავლა სავენტილაციო არხების ვარგისიანობა და საბინაო მეურნეობის სამმართველოს მთავარ ინჟინერს **თ. მეგრელაძეს** მისწერა: **„ბინის ექსპლუატაციაში ჩაბარების დღიდან სავენტილაციო არხები არ ფუნქციონერებს, ახლის მოწყობა ლიფტის ჭაურში კი ტექნიკურად დაუშვებელია, ამასთან, საპროექტო კანტორა ამ საკითხებში კომპეტენტური არ არის. თქვენ უნდა მიგემართათ იმ ორგანიზაციისათვის, რომელმაც დააპროექტა ზემოთ აღნიშნული კორპუსი...“**

ასე გასრულდა ამბავი უვარგისი სავენტილაციო არხებისა. ამის შემდეგ არც „ნიანგს“ და არც თემქელებს რაიმე სხვა საიმედო პასუხი აღარ მიუღიათ და არც საქმე გაკეთებულა! **სახლის დამპროექტებლები, ამშენებლები და ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის წარმომადგენლები სდუმან!..**

წერილი ხომ სწორედ ბიუროკრატიული უსულგულობის კონკრეტულ ფაქტს ეხებოდა?! ან პასუხი რისთვის გამოუგზავნეს „ნიანგს“, თუ საქმეს პრაქტიკულად არაფერი ეშველებოდა?! ვის რაში სჭირდება ეს დაუსრულებელი პასუხები?!

იქნებ, ახლა მაინც გამოიჩინოს პასუხისმგებლობა იმან, ვისაც ეს ეხება, და საქმით უპასუხოს თავის მიერ მიწერილ პასუხებს?!

ვანო ცინცაძე

„... თითქოს ევროპისათვის, სადაც ასმილიონობით ადამიანი ცხოვრობს, უკვე გარდაუვალი იყოს საომარი მოქმედების ასპარეზად გადაქცევა, თითქოს იგი კალის კაცუნების რაღაც კოლოფი იყოს, რომლებიც ბირთვულ აფეთქებათა ცეცხლში გადასადნობად ემეტებათ“.

გაზეთებიდან

ძია ანდერსენის ზღაპარი

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“
№ 1 (1611) იანვარი
გამოდის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლძვაძე

სარედაქციო კოლეგია:
ბაბუა ამირეჯიბი,
რომადი ბართაია,
ბორის გურგულია,
ნოდარ დუმბაძე,
რევაზ თვარაძე,
ჯემალ ლოლუა,
ნოდარ მალაზონია
(მხატვარი-რედაქტორი),

ალექსანდრე სამსონია,
ბეჭან სიხარულიძე
(პასუხისმგებელი მდივანი),

გიგლა ფირცხალავა,
ჯანსუღ ჩარკვიანი,
თამაზ წივწივაძე,
ვაჟა ბანიშვილი
(მთავარი რედ. მოადგილე),

ნაფი ჯუსოითი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გადაეცა ასაწყობად
4. 12. 81 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად
12. 1. 82 წ.
ქაღალდის ზომა 70×108 1/8
ფიზიკური ნაბეჭდი
ფურცელი 1
სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 1,7
საქართველოს კპ ცკ-ის
გამომცემლობა
ლენინის ქ. №14,
შეკვეთა № 3068. УЕ 06016
ტირაჟი 148.950.
ჟურნალი გამოდის
თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული
მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი:
380008, თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი, № 42.
ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54, მთ.
რედ. მოადგილის — 93-19-42,
პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38,
განყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივანი-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико-юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137